


საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბანკითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024

GIPA

2018-2024



შესავალი

თანამედროვე საქართველოს ისტორიაში საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) პირველი უნივერსიტეტია, რომელმაც დასავლური სწავლება დანერგა სახელმწიფო მმართველობისა და პოლიტიკის დარგში -- სწორედ მაშინ, როდესაც ქართული სახელმწიფო პირველ ნაბიჯებს დგამდა სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის მშენებლობის გზაზე. GIPA-ს კურსდამთავრებულების წვლილი ამ პროცესში განსაკუთრებულია. უკვე მეოთხედი საუკუნეა ჩვენ ვაგრძელებთ ამ გზას და უახლესი აკადემიური და მეცნიერული მიღწევების გათვალისწინებითა და დანერგვით ვქმნით და გადავცემთ ახალ ცოდნას დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულებებისა და თავისუფლების იდეალების განსახორციელებლად.

GIPA კერძო უნივერსიტეტია, მაგრამ იგი მოგებაზე არ არის ორიენტირებული და აქედან გამომდინარე, მთელი მიღებული შემოსავალი სასწავლო და კვლევითი პროცესების გაუმჯობესებას ხმარდება. ამ თვასაზრისით, საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ჩვენი უნივერსიტეტი უნიკალურია და აკადემიური თავისუფლების თვალსაზრისით გამორჩეულ ადგილს იკავებს. ჩვენ თავს ვაღიარებთ ვთვლით ვიყოთ, არა მარტო აკადემიური და იდეოლოგიური თავისუფლების უპირობოდ ერთგული, არამედ ღია ყველა ნიჭიერი და შრომისმოყვარე ახალგაზრდისთვის, მიუხედავად მისი ეკონომიკური თუ სოციალური შესაძლებლობისა. სწორედ ასეთი ახალგაზრდებისთვის თანამედროვე ცოდნისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გადაცემით, ვცდილობთ დარგის პროფესიონალებისა და მომავალი ლიდერების აღზრდას.

GIPA, კლასიკური ლიბერალური იდეალების შესაბამისად არის სხვადასხვა შეხედულებების, მოსაზრებებისა და იდეების ფორუმი, რომელიც მუდამ ღიაა ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო პროგრესისთვის მნიშვნელოვანი საკითხების განსახილველად.

მონოდებული ვართ ჩვენი მონინავე როლი სწავლებაში გავაძლიეროთ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე კვლევითი საქმიანობით და აკადემიური ცოდნის პრაქტიკულ უნარებში დანერგვით. ამ მიზნით, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ საერთაშორისო კვლევითი და სასწავლო თანამშრომლობის გაღრმავებას. ჩვენი მიზანია, GIPA-მ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგში თავისი პოტენციალის შესაბამისი, საპატიო ადგილი რაც შეიძლება მაღლე დაიკავოს.

წინამდებარე სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, ასახავს განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებს, აღწერს შესასრულებელ მიზნებსა და ამოცანებს შემდეგი 7 წლის განმავლობაში.

გეგმას საფუძვლად უდევს წინა წლების განმავლობაში განხორციელებული 2011-2017 წწ. უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის მიზნები და მიღწევები, ჩვენს მიერ ამავე პერიოდში განხორციელებული კვლევები, რომლებიც ასახავენ საქართველოში უმაღლესი განათლების თვალსაზრისით შრომით ბაზარზე ზოგად და კონკრეტულ ვითარებას, უნივერსიტეტში არსებულ სწავლების ხარისხს, სტუდენტურ ცხოვრებას, აკადემიურ პრიორიტეტებს, მართვის სისტემებს. გეგმაზე მუშაობისას, გათვალისწინებულ იქნა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოში განხორციელებული სხვადასხვა კვლევა, განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021 წწ., საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, ბოლონის პროცესის ძირითადი შეთანხმებები და პრინციპები და ქართული და დასავლური უნივერსიტეტების წარმატებული გამოცდილება და ცოდნა.

პროცესისა და მეთოდოლოგიური მიდგომების აღწერა

სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა 2017 წელს დაიწყო. რექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევა 2011-2017 წწ. სტრატეგიული გეგმის შესრულების პარამეტრების განხილვა და მიღწეული შედეგების გათვალისწინებით ახალი 7 წლიანი გეგმის შემუშავება.

სამუშაო ჯგუფი შედგებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროფესორის წარმომადგენლებისგან. პროცესის სხვადასხვა ეტაპზე, გეგმაზე მუშაობისას ჩართული იყო უნივერსიტეტის მმართველობის, ადმინისტრაციის, და პროფესორის 70-მდე წარმომადგენელი.

პირველ ეტაპზე, ჯგუფმა განიხილა და გაანალიზა 2011-2017 წლების განმავლობაში მიღწეული შედეგები და ამ პერიოდში განხორციელებული კვლევები, საკანონმდებლო ცვლილებები, უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული

საერთაშორისო ხელშეკრულებები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს, როგორც საქართველოში, ასევე რეგიონისა და მსოფლიო მასშტაბით.

მეორე ეტაპზე დაიგეგმა არსებული მდგომარეობის ანალიზი PESTEL და SWOT მეთოდოლოგიების გამოყენებით. ამ მიზნით, უნივერსიტეტის თითოეულ სტრუქტურულ ერთეულს დაევალა საკუთარი პროგრამისა და მიმართულებების შესწავლა ზემოთ ხსენებული მეთოდების საშუალებით. აღნიშნული მიმართულებით, განხორციელდა ტრენინგები და რამდენიმე სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განიხილეს კონკრეტული ერთეულების მიერ მომზადებული განვითარების გეგმები.

მესამე ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა შეაჯამა და გაანალიზა პირველ და მეორე ეტაპზე დაგროვილი ინფორმაცია და მონაცემები. პროცესის შედეგად, გამოიკვეთა უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები, სტრატეგიული მიზნები და ამ მიზნების მიღწევისთვის საჭირო აუცილებელი ამოცანები.

მეოთხე ეტაპზე სტრატეგიული განვითარების გეგმა გადაეგზავნა რექტორატს. რექტორატზე შესაბამისი განხილვის შემდეგ, სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებები. გეგმის საბოლოო ვარიანტი დამტკიცდა რექტორის მიერ 2018 წლის 26 აპრილს.

SWOT და PESTEL ანალიზი

უნივერსიტეტის თითოეულმა სტრუქტურულმა ერთეულმა შემუშავებული გეგმის თანახმად შეადგინა შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (Stakeholders) სია, რომელიც გასაანალიზებლად გადაეგზავნა სტრატეგიულ გეგმაზე მომუშავე ჯგუფს. PESTEL მეთოდოლოგიის გამოყენებით სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფმა აღნიშნულ სიაში ჩართო შესაბამისი გარემოებების (პოლიტიკურ-სამართლებრივი ჩარჩო, ეკოლოგიური, დემოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა ფაქტორები) ანალიზიც და დაადგინა 30 გარემოებისა და დაინტერესებული მხარისაგან შემდგარი მატრიცა, რომლის საფუძველზეც შეიქმნა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების SWOT ანალიზი. შეიქმნა 24 დოკუმენტი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა სამუშაო ჯგუფს. სამუშაო ჯგუფმა შესაბამისი ანალიზის შედეგად, შეადგინა უნივერსიტეტის საერთო SWOT მატრიცა, რომელიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.

GIPA-ს ძლიერი მხარე მისი სწავლების კულტურა და ტრადიციაა. დაარსების დღიდან, უნივერსიტეტი საქართველოში სწავლების დასავლური მეთოდოლოგიის ერთ-ერთი პირველი დამწერგავია. მნიშვნელოვანია, რომ GIPA დაარსდა საქართველოს მთავრობის ინიციატივის საფუძველზე. იგი შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით, დამოუკიდებელი საქართველოსთვის თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი საჯარო მოხელეების მოსამზადებლად. უაღრესად მნიშვნელოვან როლს GIPA-ს პოზიციონირებასა და მის განვითარებაში თამაშობენ მისი კურსდამთავრებულები, რომელთა დასაქმების კოეფიციენტი საკმაოდ შთამბეჭდავია, როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. დღიდან დაარსებისა, GIPA-ს გუნდი წარმოდგენილია წამყვან თანამდებობებზე, როგორც საჯარო ასევე კერძო და არასამთავრობო სექტორებში. GIPA-ს მთავარ კონცენტრაციად და ექსპერტიზის სფეროდ რჩება სოციალური მეცნიერებები. ამავდროულად, ჩვენ რეგულარულად ვქმნით ახალ პროგრამებს, რომლებიც წარმატებულ გამოცდილებასა და ცოდნაზე დაფუძნებული. თანამედროვე სწავლების მეთოდების გარდა, ტრადიციის შესაბამისად, GIPA განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლის მეთოდებს. ამ მიმართებით, ჩვენს სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამებზე დიდია ისეთი მონვეული აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი,

რომელიც წამყვან როლს თამაშობს საგარეო და შიდა პოლიტიკის, ეკონომიკის, ბიზნესის, გარემოს დაცვის, ურუნალიტიკისა და სამართლის სფეროებში.

GIPA-ს სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია არამართო თეორიული ცოდნა, არამედ ამ ცოდნის პრაქტიკული მაგალითები. სასწავლო პროცესიც შესაბამისად ორიენტირებულია, რომ სტუდენტმა შეძლოს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გარდასახვა. ჩვენი სწავლება მიმართულია თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალურ მიდგომაზე, რაც საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად შევეწყოთ ხელი არსებული პოტენციალის სრულად გამოვლენას და გამოყენებას. სახელმწიფო და კერძო გავლენისგან თავისუფალი GIPA გამოირჩევა დემოკრატიული მართვის სტილით. ეს მოცემულობა საშუალებას გვაძლევს, ვუზრუნველყოთ აკადემიური თავისუფლების მაღალი დონე და კომფორტული სამუშაო გარემო GIPA-ს პროფესორისა და მონვეული ლექტორებისთვის.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია GIPA-ს საერთაშორისო კავშირები. დაარსების დღიდან, GIPA-ს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესების სრულყოფაში სხვადასხვა დასავლური უნივერსიტეტების ჩართულობა, გადამწყვეტ როლს ასრულებდა. დღესაც, ჩვენთან სხვადასხვა ფორმითა და ინტენსივობით ორ ათეულამდე ევროპული და ამერიკული (აშშ) უნივერსიტეტი თანამშრომლობს. გვაქვს ერთობლივი პროექტები რეგიონის, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის რიგ უნივერსიტეტებთან. ჩართულნი ვართ ერაზმუს+ პროექტებში, ვაგზავნით და ვიღებთ სტუდენტებს, როგორც სამხრეთ კავკასიიდან, ასევე ევროპიდან და ახლო აღმოსავლეთიდან.

გასაუმჯობესებელია მუშაობა რამდენიმე მიმართულებით. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ახალი შენობის მშენებლობის წარმატებით დასრულება. ამჟამად, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 4 სხვადასხვა მისამართზე, აქედან 2 წარმოადგენს უნივერსიტეტის საკუთრებას. სასწავლო პროცესის ერთ მისამართზე განთავსება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რესურსების მართვის ოპტიმიზებას. ამ მიმართებით უკვე არსებობს კონკრეტული გეგმა და შემდეგი 3 წლის განმავლობაში იგეგმება მთავარი კორპუსის მშენებლობის დასრულება.

ჩვენთვის პრიორიტეტულია აფილირებულ პროფესორთა რაოდენობისა და ხარისხის ზრდა, რაც პირდაპირ კავშირშია კვლევების კომპონენტის განვითარებასთან. უკვე 2 წელია არსებობს GIPA-ს სამეცნიერო ურუნალი და ამ პერიოდში იგეგმება მისი ინტეგრირება საერთაშორისო კატალოგში. ბოლო 5 წლის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩვენი პროგრამების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რაოდენობა. შემდეგი 7 წლის განმავლობაში ჩვენი ერთ-

ერთი უმთავრესი ამოცანაა სტუდენტებისთვის ახალი სერვისების მიწოდება და კურსდამთავრებულთა ასოციაციის ქმედითი ფუნქციონირების ხელშეწყობა. ამ მიმართულებით, განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებთ, სრულყოფილ ადაპტირებულ სასწავლო და სამუშაო გარემოს შექმნას; მიზნად ვისახავთ, რომ ჩვენი სასწავლო სივრცე აკმაყოფილებდეს საჭირო სტანდარტს. ქვეყნის სტრატეგიის შესაბამისად, ვვგეგმავთ კიდევ უფრო მჭიდრო გახდეს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების კავშირი შრომის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებთან. ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჩვენი ახალი პროფესიული განათლების პროგრამა, რომელიც საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასა და ცოდნაზეა დაფუძნებული.

GIPA-ს საერთაშორისო პარტნიორობა უცხოეთის სხვადასხვა წამყვან უნივერსიტეტებთან იძლევა საერთაშორისო კვლევითი პროექტების განვითარების შესაძლებლობას. სასწავლო-სამეცნიერო ფართის სიმწირე მნიშვნელოვნად ზღუდავს ამ შესაძლებლობებს. მთავარი კორპუსის მშენებლობის წარმატებით დასრულების შემდეგ, ვვგეგმავთ საერთო საცხოვრებლის მშენებლობას, სადაც უცხოელი სტუდენტები და პროფესორები მეტი ინტენსივობით შეძლებენ საქართველოში სწავლისა და კვლევების განხორციელებას. ინგლისურენოვანი პროგრამების განვითარება და ქართულენოვან პროგრამებში ინგლისურენოვანი საგნების ინტეგრირება ხელს შეუწყობს ინტერნაციონალიზაციას. ონლაინ სწავლების კომპონენტის გაძლიერებაც ასევე მნიშვნელოვანია. კონკრეტული ფორმატი უფრო ხელმისაწვდომს გახდის ჩვენს პროგრამებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეებზე.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების პროცესი ახალ შესაძლებლობებს ქმნის GIPA-ს შემდგომი განვითარებისთვის. ევროკავშირის ქვეყნებთან ვიზალიბერალიზაციამ და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ძალაში შესვლამ გაზარდა საქართველოში არსებული უნივერსიტეტების წვდომის ხარისხი სხვადასხვა მნიშვნელოვან ფონდებსა და ინიციატივებზე. ბოლონის პროცესის გაღრმავება და გაფართოება კიდევ უფრო მეტ საშუალებას აძლევს ჩვენს პროფესორებს, სტუდენტებსა და უნივერსიტეტს, განავითარონ კავშირები და თანამშრომლობა ევროპულ პარტნიორებთან. ქვეყანაში შექმნილი ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო და საქართველოსადმი მზარდი ინტერესი ქმნის პირობებს, რომ განათლების სფეროშიც მოხდეს მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და განვითარება შლის გეოგრაფიულ ბარიერებს და ონლაინ სწავლების საშუალებით ადგილობრივ უნივერსიტეტებს უხსნის გზას გაცილებით ფართო აუდიტორიისკენ.

თანამედროვე სამყაროში არსებობს **გამონწევები**, რომლებიც ორ შინაარსობრივ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: პირველი, ზოგადი ხასიათისაა და საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროზე ახდენს გავლენას, მეორე ტიპის გამონწევები კი, უშუალოდ უმაღლეს განათლებას ეხება. პოლიტიკური გარემო, რომლის მაგალითადაც შეიძლება მსოცავი ოკუპაცია მოვიყვანოთ. ასევე, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს აპლიკანტების სიმცირეს კერძო უნივერსიტეტებში. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, თვეში 2083 ლარზე მეტი შემოსავალი მოსახლეობის დაახლოებით 2.5%-ს აქვს, შესაბამისად, მოსახლეობის სეგმენტი, რომელსაც შეუძლია ისწავლოს GIPA-სა და მსგავსი გადასახადის მქონე უნივერსიტეტში - შეზღუდულია. გლობალური კონკურენციის პირობებში, მოსახლეობის ფინანსურად წარმატებული ფენა ადვილად ახერხებს უმაღლესი განათლების საზღვარგარეთ მიღებას.

აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დაფინანსება და ინიციატივების უმრავლესობა მიმართულია სახელმწიფო უნივერსიტეტებისკენ, რაც ამცირებს დამოუკიდებელი უნივერსიტეტების კონკურენტუნარიანობას. თუკი გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს ისედაც უფრო სახარბიელო სასტარტო პოზიცია აქვთ მათი ინფრასტრუქტურის, ცნობადობის და ხანგრძლივი არსებობის გამო, სახელმწიფო დაფინანსებისა და სხვადასხვა ტიპის მხარდამჭერი პროექტების აბსოლუტური უმრავლესობის მათკენ მიმართვა, სახელმწიფო უნივერსიტეტებს კიდევ უფრო მომგებიან პოზიციაში აყენებს. ბუნებრივია, ყოველივე ეს, უთანასწორო მდგომარეობაში ამყოფებს კერძო უმაღლეს სასწავლებლებს, განსაკუთრებით კი ისეთ უნივერსიტეტებს, რომლებიც მოგებაზე არ არიან ორიენტირებულნი და შესაბამისად, კერძო სექტორიდან ინვესტიციის მოზიდვა უფრო უძნელდებათ. მნიშვნელოვანი გამონწევვაა ზოგადი განათლების სისტემის რეფორმა, რომელიც ნელი ტემპით მიმდინარეობს და შედეგებიც არასახარბიელოა. სასკოლო განათლების უკიდურესად დაბალი დონე კი მნიშვნელოვნად ზღუდავს სწავლის უნარ-ჩვევების მქონე აბიტურიენტების რაოდენობას. ამ მდგომარეობას ადასტურებს 2015 წელს ჩატარებული მოსწავლეთა ტესტირება, რომელმაც 70 ქვეყანა და ტერიტორია მოიცვა (PISA); შედეგების მიხედვით, საქართველოს სკოლებში მოსწავლე - ახალგაზრდები თავის თანატოლებს მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან და შესაბამისად, საქართველო ამ სიის ბოლო მეხუთედში იკავებს ადგილს.

S	ძლიერი მხარეები	W	სუსტი მხარეები
	<ul style="list-style-type: none"> • მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა და პრესტიჟი • დასაქმების მაღალი კოეფიციენტი • წარმატებული კურსდამთავრებულები • ინოვაციური სწავლების მეთოდიკა • დარგის საუკეთესო სპეციალისტები • მაღალი ორგანიზაციული კულტურა • მოქნილი, დემოკრატიული მართვა • დაცული აკადემიური თავისუფლება • ძლიერი საერთაშორისო კავშირები • საერთაშორისო პროექტების მრავალფეროვნება • მაღალშემოსავლიანი ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი და ინოვაციური პროფესიული პროგრამა 		<ul style="list-style-type: none"> • გაბნეული და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა • საერთაშორისო სამეცნიერო კვლევით პროექტებში მონაწილეობის ნაკლებობა • უცხოელი სტუდენტების ნაკლებობა • აფილირებული უცხოელი პროფესორების რაოდენობის ნაკლებობა • ონლაინ სწავლების მწირი ინფრასტრუქტურა • კურსდამთავრებულებთან კავშირების არაფორმალური ხასიათი • ხარისხიანი და თანამედროვე ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურის სიმწირე • აკადემიური პერსონალის მაღალრეიტინგულ შერჩევაში გამოქვეყნების მაჩვენებლების ნაკლებობა
O	შესაძლებლობები	T	გამოწვევები
	<ul style="list-style-type: none"> • ევროინტეგრაციის პროცესები • საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების პერსპექტივა • ონლაინ სწავლების განვითარების მიმართ მზარდი ინტერესი • ქვეყნის მზარდი საერთაშორისო ცნობადობა 		<ul style="list-style-type: none"> • პოლიტიკური კონტექსტი ტერიტორიული მთლიანობის ჭრილში • სოციალურ-ეკონომიკური ფონი • კონკურენცია საერთაშორისო დონეზე • ზოგადი განათლების დაბალი დონე • კერძო უმაღლეს სასწავლებლებთან მიმართებაში სახელმწიფო დაფინანსების სისტემის დისბალანსი

სტრატეგიული მიმართულებები

არსებული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზის შედეგად დადგინდა უნივერსიტეტის განვითარების 5 ძირითადი მიმართულება, რომლებიც შემდეგი 7 წლის განმავლობაში GIPA-ს პრიორიტეტი იქნება. ამ თვალსაზრისით გათვალისწინებულ იქნა როგორც ძირითადი ჩართული მხარეების მისწრაფებები და შესაძლებლობები, ასევე ადგილობრივი და საერთაშორისო კონტექსტი.

საგანმანათლებლო საქმიანობა GIPA-ს უმთავრეს პრიორიტეტად რჩება. GIPA დაარსების დღიდან ერთ-ერთი პირველი იყო სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის დანერგვაში. უნივერსიტეტის მიზანია, GIPA-მ სოციალური მეცნიერებების ტრადიციულ დარგებში შეინარჩუნოს და განამტკიცოს წამყვანი პოზიციები. ამავდროულად, მნიშვნელოვანი იქნება აფილირებული პროფესორების ხვედრითი წილისა და კონკრეტული მიმართულებებით შეთავაზებული საგნების რაოდენობისა და მრავალფეროვნების გაზრდა.

ინტერნაციონალიზაცია ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. ბოლო წლების პროცესი გლობალური ტენდენციის საუკეთესო გამოხატულებაა და საქართველოს ჩართულობის ზრდა ევროპის უმაღლესი განათლების (EHEA) და ევროპის კვლევით სივრცეში (ERA) მნიშვნელოვან შესაძლებლობებს ქმნის ჩვენი და ევროპული უნივერსიტეტების თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისთვის. ამ თვალსაზრისით, მიზნად ვისახავთ მნიშვნელოვნად გაიზარდოს უნივერსიტეტში ევროპული სტუდენტების რაოდენობა, ხოლო ზოგადად, უცხოელი სტუდენტების წილი საერთო რაოდენობის 5%-ს მიუახლოვდეს. პარალელურად, კიდევ უფრო გავზარდოთ პროფესორებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების გაცვლის შესაძლებლობები ჩვენს პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან. ვითვალისწინებთ რა GIPA-ს ისტორიას, განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ ჩვენს ამერიკულ პარტნიორებთან უკვე ტრადიციული თანამშრომლობის შენარჩუნებას და გაღრმავებას.

კვლევითი საქმიანობა ის ცენტრალური მიმართულებაა, რომელშიც წარმატების მიღწევა მთელი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს. დღეს ძალზე ცოტაა სოციალური მეცნიერებების დარგში ისეთი

პუბლიკაციები და კვლევები, რომლებიც რეიტინგულ გამოცემებში იბეჭდება. სხვა მიზეზებთან ერთად ამ პრობლემას სახელმწიფო და კერძო დაფინანსების სიმწირე ქმნის. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით რთულია კერძო უმაღლესი სასწავლებლების მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, აუცილებლად მიგვაჩნია ამ სფეროში პროგრესის მიღწევა. GIPA-ში უკვე 3 წელია არსებობს საუნივერსიტეტო აკადემიური ჟურნალი, რომლის სარედაქციო საბჭო GIPA - ს და აშშ-ის Troy-ს უნივერსიტეტის პროფესორებით არის დაკომპლექტებული და რეფერირებად კატალოგში მოხვედრის ყველა ძირითად წინაპირობას აკმაყოფილებს. ჩვენი მიზანია, ამ გამოცემის მსგავს კატალოგებში ჩართვა და ჩვენი პროფესორის სამეცნიერო კვლევების ხარისხისა და რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა. ვგეგმავთ, აფილირებული პროფესორის მნიშვნელოვანი ზრდის ფონზე, კონკრეტული მექანიზმების დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს დამოუკიდებელი და ერთობლივი კვლევების განხორციელებას, რომელშიც ჩვენი უცხოელი პარტნიორები და სტუდენტები რეგულარულად მიიღებენ მონაწილეობას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე პროექტების განხორციელებასაც.

ინსტიტუციური განვითარება ზემოთ დასახული მიმართულებების წარმატებული განხორციელების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. შეზღუდული ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა უნივერსიტეტის მდგრადი და სტაბილური განვითარების უმთავრეს გამონწვევას. ახლაც, ჩვენი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ნაწილობრივ დაქირავებული სასწავლო ფართის გამოყენებით ხერხდება. სწორედ ამიტომ, უმნიშვნელოვანესი იყო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის ასაშენებლად კრწანისის რაიონში ნაკვეთის შეძენა, რომელიც საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, GIPA-ს პირდაპირი მიყიდვის წესით გადაეცა. შემდეგი 7 წლის განმავლობაში დაგეგმილია როგორც მთავარი ნაგებობის, ასევე სპორტული მოედნისა და დამხმარე შენობების მშენებლობა. ასევე განიხილება სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობის დაწყება, რაც კიდევ უფრო გააღვივებს უცხოელი სტუდენტებისა და პროფესორების GIPA-ს სასწავლო პროცესში ჩართულობას. ყურადღება დაეთმობა კურსდამთავრებულთა ასოციაციის განვითარებას, დაიხვეწება უკვე არსებული სერვისები, რომელთა მიზანი სტუდენტებთან და პროფესორასთან ერთად, ადმინისტრაციის თანამშრომლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობაც იქნება.

პროფესიული განათლება ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებულ პრიორიტეტად ყალიბდება. უნივერსიტეტმა წელს დაიწყო პირველი პროფესიული პროგრამის განხორციელება, რომელიც შრომის უსაფრთხოებასა და გარემოსდაცვითი

ტექნოლოგიების კვალიფიციურ კადრებს მოამზადებს. ამ მიმართულების იგეგმვა შემდგომი გაფართოება და განვითარება. შემდეგი 7 წლის მანძილზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მექანიზმების შემუშავებასა და ინსტიტუციონალიზაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადების პროგრამების დანერგვასა და სასწავლო გარემოს მუდმივ გაუმჯობესებას.

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

სტრატეგიული მიმართულება I: საბანხანათლებლო საქმიანობა

დაარსების დღიდან GIPA-ში თანამედროვე დასავლური სტანდარტების შესაბამისი სწავლების მეთოდოლოგია დაინერგა. მეთოდოლოგიასთან ერთად შეიქმნა განსაკუთრებული სასწავლო გარემო, რომელიც მკვეთრად განსხვავდებოდა საბჭოთა მემკვიდრეობისგან და ამ მიმართულებით უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნიდა ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად. პროფესორსა და სტუდენტს შორის უსარგებლო ბიუროკრატიული და იერარქიული ბარიერის მოსპობა, სტუდენტის მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში უწყვეტი შეფასების წესი, ინტერაქტიური ლექციისა და სემინარების დანერგვა, კაზუსების, სიმულაციებისა და პრაქტიკული გამოცდილების განხილვის საშუალებით ცოდნის მიღება, დასავლური სტანდარტის მიხედვით განწერილი სილაბუსები და შეფასების სისტემა, ისევე როგორც თითოეულ სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომის შესაძლებლობა, დღესაც რჩება ჩვენი ფილოსოფიისა და მიდგომის განმსაზღვრელ კომპონენტად.

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაფართოვდა. 2011 წელს GIPA-ში მხოლოდ ერთი საბაკალავრო პროგრამა, 8 სამაგისტრო და ერთი სადოქტორო პროგრამა არსებობდა, დღეს ჩვენ 1 პროფესიული, 10 საბაკალავრო, 11 სამაგისტრო პროგრამა და ერთი სადოქტორო პროგრამა გვაქვს; წელს სტუდენტების პირველი ნაკადი მივიღეთ პროფესიულ პროგრამაზე. შესაბამისად, თუკი 2012 წელს უნივერსიტეტში 750-მდე სტუდენტი სწავლობდა, დღეს მათი რაოდენობა 1200 აჭარბებს; გაიზარდა ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის

რაოდენობა. ბუნებრივია, რომ ტრანსფორმაციის ასეთი ტემპი გამოწვევაა ნებისმიერი ორგანიზაციისთვის და საამაყო, რომ ამ ფონზე უნივერსიტეტმა მოახერხა, სწავლების ხარისხისა და კონკურენტული უპირატესობის შენარჩუნება.

შემდეგი 7 წლის მანძილზე მთავარი ამოცანა მიღწევების მდგრადი შენარჩუნება და შემდგომი განვითარებაა. ამ მიმართულებით 5 სტრატეგიული მიზანი შემუშავდა. არსებული პროგრამების განვითარება და გაძლიერება უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი იქნება. ზრდის ტემპების გათვალისწინებით, აუცილებელია, მიღწეული შედეგების კონსოლიდაცია და მდგრადობის უზრუნველყოფა. ამ კუთხით ყურადღება მიექცევა პროგრამების შიდა და გარე ხარისხის კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების განხორციელებასა და მუდმივ განახლებას, შემადგენელი ერთეულების აკადემიური საბჭოების აქტიურ ჩართვას კურიკულუმის განახლების პროცესში, დისციპლინების მიხედვით არჩევითი საგნების ხვედრითი წილის გაზრდასა და აფილირებული პროფესორის როლის გაძლიერებას სასწავლო პროცესში. შრომითი ბაზრის რეგულარული და ინსტიტუციონალიზებული შესწავლის საფუძველზე და შესაბამისი დასკვნების არსებობის შემთხვევაში, განიხილება ახალი პროგრამების დანერგვა და განხორციელება. ასევე GIPA გეგმავს ერთგვარი პლატფორმის განვითარებას, რომელიც გულისხმობს ერთობლივი შრომის ბაზრის კვლევის განხორციელებას საქართველოში მოქმედ სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად.

მნიშვნელოვანია აფილირებული პროფესორის ხარისხის, რაოდენობისა და ხვედრითი წილის გაზრდა, რაც საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო მეტი დრო დაეთმოს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალურ განვითარებას. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება, სწორად დაგვემოს საკუთარი პროფესიული განვითარების გზა და სრულად გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი.

სწავლების ონლაინ კომპონენტის განვითარება უაღრესად მნიშვნელოვანია გლობალურ კონტექსტში. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ჩვენი სასერთიფიკატო პროგრამა იყენებს ონლაინ სწავლების მეთოდოლოგიასა და პლატფორმას, ჯერ არ არსებობს საერთო ინსტიტუციური მიდგომა და ეს მიმართულება განვითარების საწყის ეტაპზეა. ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მხარდაჭერით შემდეგი 7 წლის განმავლობაში ვგეგმავთ, ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე, როგორც ქართულენოვანი ასევე ინგლისურენოვანი სასწავლო მოდული, რომელიც სრულფასოვნად გამოიყენებს არსებულ ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში დაიხვეწება ქართული კანონმდებლობა და რეგულაციები, რომელიც სწავლების ამ ფორმას შეეხება. შესაბამისად,

დისტანციური სწავლება საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ პროგრამები როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო აუდიტორიისთვის.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ **უნყვეტი განათლების** კომპონენტის შემდგომ განვითარებასა და გაძლიერებას. უნივერსიტეტი, 2005 წლიდან მოყოლებული აკადემიური სკოლების ფარგლებში სთავაზობდა მსურველებს სხვადასხვა სასერთიფიკატო პროგრამებსა და სასწავლო მოდულებს. უკვე 5 წელია ამ აქტივობების კონსოლიდაცია მოხდა ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრში, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროგრამების ერთიანი სტანდარტით შემუშავებასა და განხორციელებას. წარმატებულია თანამშრომლობა სხვადასხვა საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ინსტიტუციებთან. ამ ყოველივეს თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ აკრედიტებული სასერთიფიკატო პროგრამა, რომელსაც საქართველოს უნივერსიტეტებს შორის მხოლოდ GIPA ახორციელებს. ჩვენი ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრი 2005 წელს გახდა ევროპის ტრენინგების ორგანიზაციის წევრი, რომელიც მიზნად ისახავს საჯარო და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა გადამზადებას და ევროპული პრაქტიკის გაზიარებას. ჩვენი მიზანია, ცენტრის საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურება და მსურველთათვის პროგრამების და ტრენინგ მოდულების კიდევ უფრო ფართო დიაპაზონის შეთავაზება.

GIPA ყოველთვის გამოირჩეოდა სწავლების უახლესი მიღწევებისა და მეთოდის დანერგვით. მიზნად ვისახავთ რიგი მიმართულებებით **მენარმე უნივერსიტეტის მიდგომების** დანერგვას სასწავლო პროცესში. სწავლების ეს კონცეფცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, თუკი მხედველობაში მივიღებთ საქართველოს განათლების სტრატეგიას, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი აკადემიასა და შრომით ბაზართან მჭიდრო თანამშრომლობის მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობაა. GIPA ყოველთვის გამოირჩეოდა პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდით და აქედან გამომდინარე, კერძო სექტორთან ნაცოფიერი თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია, მათ შორის სასწავლო პროცესის შესაბამისი მოდიფიკაციის საშუალებით განვითარების ახალ შესაძლებლობებს შექმნის. ამ მიმართებით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მდგრადი განვითარების კონცეფციის ჩართვას, როგორც კონკრეტული დისციპლინების შესწავლისას, ასევე ამ მიდგომის დანერგვასა და გათვალისწინებას ზოგადად სწავლების პროცესის განმავლობაში.

სტრატეგიული მიზანი I: სასწავლო პროგრამების განვითარება-გაძლიერება

ამოცანები	ინდიკატორები
NI.1 არჩევითი საგნების ხვედრითი წილის გაზრდა	სასწავლო პროგრამა, კითხვარი, კურიკულუმი
NI.2 შრომითი ბაზრის რეგულარული ანალიზი	შესაბამისი კვლევები და ანალიზი
NI.3 შიდა და გარე ხარისხის მართვის ინსტრუმენტების რეგულარული დახვეწა და გამოყენება	გარე და შიდა ხარისხის მართვის დოკუმენტები, ჩატარებული კვლევები
NI.4 კურიკულუმის რეგულარული განახლება	სასწავლო პროგრამების აღწერილობა
NI.5 ახალი პროგრამების დანერგვა	ახალი სასწავლო პროგრამები
NI.6 სკოლის აკადემიური საბჭოების როლის გაზრდა	შესაბამისი რეგულაციები, ოქმები და სხვა

სტრატეგიული მიზანი II: აკადემიური პერსონალის გაძლიერება

ამოცანები	ინდიკატორები
NII.1 აფილირებულ პროფესორთა რაოდენობის გაზრდა	საშტატო განრიგი
NII.2 შრომითი ხელშეკრულებების დახვეწა	ხელშეკრულებები და სამუშაოს აღწერილობები
NII.3 სამუშაო გარემოს მუდმივი გაუმჯობესება	შესაბამისი ოქმები, გამოკითხვები
NII.4 პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	ტრენინგები, მივლინებები, დაფინანსებული კვლევები
NII.5 ინდივიდუალური მიდგომების დანერგვა	გამოკითხვები, შეფასებები
NII.6 საუკეთესო პრაქტიკოსი მონვეული ლექტორების შენარჩუნება და მოზიდვა	საშტატო განრიგი
NII.7 პროფესორის ჩართულობის გაძლიერება	აკადემიური საბჭოების ოქმები, შესაბამისი გამოკითხვები და შეფასებები

სტრატეგიული მიზანი III: დისტანციური და ონლაინ სწავლების განვითარება

ამოცანები	ინდიკატორები
NIII.1 ონლაინ სწავლების საერთო სტრატეგიის შემუშავება	სტრატეგიის დოკუმენტი
NIII.2 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება	ჩატარებული ტრენინგები
NIII.3 პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილების გაზიარება	განხორციელებული ვიზიტები, ერთობლივი ანალიზი
NIII.4 ონლაინ სასწავლო მოდულების შექმნა	შექმნილი სასწავლო მოდულები

სტრატეგიული მიზანი IV: უწყვეტი განათლება

ამოცანები	ინდიკატორები
NIV.1 სასერთიფიკატო პროგრამების მრავალფეროვნების ზრდა	პროგრამები და ტრენინგები
NIV.2 საუკეთესო ექსპერტების მოზიდვა	საშტატო განრიგი, პირადი საქმეები
NIV.3 მსმენელთა რაოდენობის ზრდა	დარეგისტრირებული მსმენელები
NIV.4 თემატური საზაფხულო სკოლების განვითარება	საზაფხულო სკოლების რაოდენობა
NIV.5 ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სტანდარტიზაცია	შეფასებები, შესაბამისი დოკუმენტები

სტრატეგიული მიზანი V: მენარმე უნივერსიტეტის პრინციპების გამოყენება

ამოცანები	ინდიკატორები
NV.1 საერთო სტრატეგიის შემუშავება (მენარმე უნივერსიტეტი)	სტრატეგიის დოკუმენტი
NV.2 საპილოტე პროექტების შემუშავება (მენარმე უნივერსიტეტი)	განხორციელებული პროექტების ანგარიში
NV.3 აღნიშნული მიდგომების გამოყენება რეგულარულ სასწავლო პროცესში (მენარმე უნივერსიტეტი)	სილაბუსები, შეფასებები
NV.4 მდგრადი განვითარების გათვალისწინება შესაბამის დისციპლინებში	სილაბუსები, შეფასებები
NV.5 კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაცია	ხელშეკრულებები, განხორციელებული პროექტების ანგარიშები
NV.6 სასწავლო პროცესში დამსაქმებლის ჩართულობის მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია	შესაბამისი დოკუმენტები, შეფასებები

სტრატეგიული მიმართულება II: ინტერნაციონალიზაცია

უმაღლესი განათლების სფეროში კონკურენცია თანდათანობით გლობალურ ხასიათს იღებს. ტექნოლოგიური და კულტურული ცვლილებები ერთდროულად გამოწვევებსა და შესაძლებლობებს ქმნის. აუცილებელია, ამ დინამიურად განვითარებადი პროცესების ადეკვატურად გაანალიზება და შესაბამისი სწორი სტრატეგიის განსაზღვრა. ბოლონის პროცესი, საქართველოსა და ევროკავშირის შორის არსებული ასოცირების ხელშეკრულება, ვიზალიზერალიზაცია და ჩვენი საგანმანათლებლო სივრცის მზარდი ჩართულობა ევროპის უმაღლესი განათლებისა (EHEA) და ევროპის კვლევით სივრცეში (ERA) დამატებით შესაძლებლობებს ქმნის სწავლებისა და კვლევის წარმატებული ინტერნაციონალიზაციისთვის, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საქართველოში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას. მეორეს მხრივ, ტექნოლოგიური მიღწევები, რომლებიც აადვილებს დისტანციურ სწავლებას და კულტურული ტრანსფორმაცია, რისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოხატულება ინგლისურენოვანი პროგრამების დანერგვაა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, კონკურენციას გლობალურ მასშტაბებს ანიჭებს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ამ გამოწვევებზე საპასუხოდ დროული ნაბიჯების გადადგმა და პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება. GIPA-ს, როგორც დასაბამიდანვე საერთაშორისო თანამშრომლობის შედეგად დაფუძნებულ უნივერსიტეტს ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი გამოცდილება და ტრადიცია აქვს. ჩვენი უცხოელი პარტნიორები ხშირად ფუნდამენტურ როლს ასრულებდნენ უნივერსიტეტის განვითარების საქმეში. დღესაც, GIPA-ს რამდენიმე **გაცვლითი პროგრამა** აქვს აშშ-სა და ევროპის უნივერსიტეტებთან. პრიორიტეტად მიგვაჩნია **ერთობლივი პროგრამების** განვითარება.

ჩვენი არაერთი სტუდენტი სწავლობდა და სწავლობს საზღვარგარეთ სხვადასხვა პროექტის, მათ შორის, ერაზმუს+ ფარგლებში, მაგრამ ჯერჯერობით კვლავ მცირეა **უცხოელი სტუდენტების** ხვედრითი წილი GIPA-ში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ მიმართულებით უნივერსიტეტს საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა და 10 წელიწადზე მეტია კავკასიის ჟურნალისტიკისა და მედია-მენეჯმენტის სკოლაში სომეხი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ერთად ეუფლებიან თავიანთ პროფესიას, რაც ხაზს უსვამს ჩვენს უნარს შესაბამისი სასწავლო პროგრამისა და გარემოს საშუალებით ხელი შეუწყოს სტუდენტების კულტურულ დაახლოებას მძიმე პოლიტიკური კონიუნქტურის არსებობის შემთხვევაშიც კი. გაიზარდა დაინტერესება სხვა ქვეყნებიდანაც, სხვადასხვა დროს ჩვენს უნივერსიტეტში სხვადასხვა პროგრამებზე ირიცხებოდნენ და

ირიცხებიან სტუდენტები ჩეხეთიდან, ბელგიიდან, აშშ-დან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. მნიშვნელოვანია, შესაბამისი პირობების შექმნა მათი რაოდენობის გასაზრდელად.

სტუდენტებთან ერთად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროექტების მხარდაჭერა და ხელშეწყობა. ამ შემთხვევაშიც, GIPA-ს მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა, განსაკუთრებით, ჩვენს ამერიკელ პარტნიორებთან სხვადასხვა გაცვლითი პროგრამების განხორციელების კუთხით. ბოლონის პროცესი და საქართველოს ჩართულობის ზრდა ევროპულ სივრცეში ახალ შესაძლებლობებს ქმნის ამგვარი პროექტების ჩვენს ევროპელ პარტნიორებთან განხორციელების თვალსაზრისით. უცხოელ კოლეგებთან ინტენსიური თანამშრომლობა ხელს შეუწყობს როგორც სწავლების, ასევე კვლევისა და ორგანიზაციული მართვის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკისა და მექანიზმების დამკვიდრებას.

გლობალურ პროცესებში სრულფასოვანი ჩართვისთვის მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამებისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება და საერთაშორისო პროფესიულ კავშირებში გაერთიანება. ეს კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს შექმნის, რომ ჩვენი სწავლებისა და კვლევის ხარისხი მაქსიმალურად დაუახლოვდეს თანამედროვე სტანდარტებს.

სტრატეგიული მიზანი VI: გაცვლითი პროგრამების განვითარება

ამოცანები	ინდიკატორები
NVI.1 ერაზმუსის თარგმნებში პარტნიორობის გაფართოება	პარტნიორი უნივერსიტეტების რაოდენობის ზრდა, სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მეტი რაოდენობით ჩართულობა
NVI.2 ინდივიდუალური თანამშრომლობის გაღრმავება გა განვითარება	არსებული პროგრამებში მეტი მონაწილის ჩართვა, ხელშეკრულებები ახალი გაცვლითი პროგრამების შესახებ

სტრატეგიული მიზანი VII: უცხოელი სტუდენტების მოზიდვა	
ამოცანები	ინდიკატორები
NVII.1 ინგლისურენოვანი პროგრამების საერთაშორისო მარკეტინგი	არსებული ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის მარკეტინგული გეგმა, განხორციელების ანგარიში
NVII.2 უცხოელი სტუდენტებისთვის გზამკვლევის მომზადება	გზამკვლევი
NVII.3 უცხოელ სტუდენტებთან მომუშავე ადმინისტრაციული პოზიციის შექმნა	საშტატო განრიგი
NVII.4 საერთაშორისო საზაფხულო სკოლების განვითარება	საზაფხულო სკოლების რაოდენობა
NVII.5 არსებულ პროგრამებში ინგლისურენოვანი მოდულების დანერგვა	განახლებული პროგრამები, კურიკულუმი
სტრატეგიული მიზანი VIII: სასწავლო და კვლევითი პროცესის ინტერნაციონალიზაცია	
ამოცანები	ინდიკატორები
NVIII.1 უცხოელი მონვეული ლექტორების რაოდენობის გაზრდა	სასწავლო პროგრამა, საზაფხულო სკოლის პროგრამები
NVIII.2 აკადემიური პერსონალის საზღვარგარეთ სწავლების მხარდაჭერა	პარტნიორ უნივერსიტეტებში ჩვენი პროფესორების ვიზიტების რაოდენობა
NVIII.3 ერთობლივი საერთაშორისო კვლევები	განხორციელებული პროექტების ანგარიშები, გამოქვეყნებული ნაშრომები
სტრატეგიული მიზანი IX: საერთაშორისო აკრედიტაცია	
ამოცანები	ინდიკატორები
NIX.1 ერთობლივი ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამების დანერგვა	ამ პროგრამების რაოდენობა
NIX.2 ორმაგი ხარისხის მიმნიჭებელი ერთობლივი პროგრამების დანერგვა	ამ პროგრამების რაოდენობა
NIX.3 არსებული პროგრამისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება	საერთაშორისო აკრედიტაცია

სტრატეგიული მიმართულება III: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

სოციალურ მეცნიერებებში აკადემიური კვლევების ნაკლებობა საქართველოს უმაღლესი განათლების უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა. ჩვენ მონოდებულნი ვართ შემდეგი 7 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ჩვენი მიღწევები. ათელირებული პროფესორის ხვედრითი წილის ზრდასთან ერთად უნდა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის მიერ **გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა** საერთაშორისო რეფერირების მქონე გამოცემებში. აღნიშნული მიმართულებით, უნივერსიტეტში არსებული კვლევის დეპარტამენტი ცენტრალურ ფუნქციას ასრულებს. უკვე არსებობს კვლევითი ფონდი, რომელიც საუნივერსიტეტო პროექტებს აფინანსებს. პარალელურად, უნივერსიტეტის სკოლებს აქვთ დამოუკიდებელი ფინანსური რესურსი საკუთარი აკადემიური პროგრამების ფარგლებში კვლევების დასაფინანსებლად. პუბლიკაციების რაოდენობის ზრდას ასევე ხელს შეუწყობს აკადემიური პერსონალის განახლებული ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელს ხდიან გარკვეული რეგულარობით სამეცნიერო-აკადემიური სტატიების გამოქვეყნებას.

მნიშვნელოვანია ჩვენს ადგილობრივ და უცხოელ კოლეგებთან **ერთობლივი კვლევითი** საქმიანობის ხელშეწყობა. ამ მხრივ, GIPA-ს საკმაოდ დიდი პოტენციალი და კონკრეტული გამოცდილება აქვს. სხვადასხვა მიმართულებით უნივერსიტეტის პროგრამები წარმატებით მონაწილეობდნენ ტემპუსის, ერაზმუს+ ფარგლებში დაფინანსებულ პროექტებში. მნიშვნელოვანი გამოცდილება არსებობს ჩვენს ამერიკელ კოლეგებთან თანამშრომლობის თვალსაზრისითაც.

სწორედ ასეთი თანამშრომლობის შედეგად 2 წლის წინ შეიქმნა GIPA-ს ინგლისურენოვანი აკადემიური გამოცემა Journal of Politics and Democratization. ჟურნალის სარედაქციო კოლეგია, როგორც ჩვენი ასევე ჩვენი პარტნიორი ტროის უნივერსიტეტის, აშშ აკადემიური პერსონალის მიერ არის დაკომპლექტებული. ჟურნალი უკვე აკმაყოფილებს ყველა ძირითად პარამეტრებს, რომ **საერთაშორისო კატალოგში** მოხვდეს. ამ ამოცანის შესრულება მნიშვნელოვნად გაზრდის ჩვენი გამოცემის მიმართ ინტერესის ზრდას და ხელს შეუწყობს კვლევების თვალსაზრისით ახალი შესაძლებლობების შექმნას.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ კვლევებში სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. ამ მიმართულებით მეტი ყურადღება დაეთმობა პრაქტიკული აპლიკაციის მქონე კვლევების განხორციელებას. ეს ხელს შეუწყობს არა მარტო სტუდენტებისთვის შესაბამისი უნარჩვევების გამომუშავებას, არამედ კერძო და საზოგადოებრივი სექტორის დაახლოებას აკადემიასთან.

აღნიშნული ამოცანების შესრულება პირდაპირ კავშირშია GIPA-ს სტრატეგიულ მიზანთან – უნივერსიტეტების საერთაშორისო რეიტინგში საპატიო ადგილის დაკავება. რეიტინგების უმრავლესობა სტუდენტების რაოდენობასა და შემოსავლებთან ერთად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული კვლევების რაოდენობას და მათ ციტირებას ანიჭებს. ამიტომაც, მთელი ჩვენი ძალისხმევა ხარისხიანი სამეცნიერო შრომების შექმნისკენ იქნება მიმართული.

სტრატეგიული მიზანი X: კვლევების გაძლიერება	
ამოცანები	ინდიკატორები
NX.1 კვლევების რაოდენობის გაზრდა	საერთო რაოდენობის ზრდა
NX.2 საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის გაზრდა	პუბლიკაციების რაოდენობა
NX.3 სტუდენტური კვლევების გაზრდა	პუბლიკაციების რაოდენობა
NX.4 აკადემიურ კონფერენციებში მონაწილეობის გაზრდა	მონაწილე პერსონალის რაოდენობა
NX.5 კვლევების შიდა დაფინანსების ზრდა	ბიუჯეტი
NX.6 საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ზრდა	პროექტების რაოდენობა, მოზიდული რესურსის რაოდენობა
სტრატეგიული მიზანი XI: აკადემიური ჟურნალის განვითარება	
ამოცანები	ინდიკატორები
NXI.1 GIPA-ს პოლიტიკისა და დემოკრატიზაციის ჟურნალის (JPD) პოპულარიზაცია	შემოსული სტატიების რაოდენობისა და გეოგრაფიული არეალის ზრდა
NXI.2 JPD-ის ჩართვა საერთაშორისო კატალოგებში	შესაბამისი დოკუმენტაცია

სტრატეგიული მიმართულება IV: ინსტიტუციური განვითარება

ბოლო ათეული წელია უნივერსიტეტის უმნიშვნელოვანეს გამოწვევას ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. დღეს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი 4 შენობაში მიმდინარეობს, რომლებიც თბილისის სხვადასხვა უბნებშია განთავსებული. აქედან GIPA-ს საკუთრებაში მხოლოდ ორი შენობაა. ეს დამატებით ფინანსურ წნეხს ქმნის და ართულებს მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს. სასწავლო ფართის ნაკლებობა მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო უნივერსიტეტის განვითარების თვალსაზრისითაც. აქედან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი ფართის მოძიებისა და შესყიდვის შესახებ, რაც გასულ წელს წარმატებით განხორციელდა. შემდეგი 7 წლის განმავლობაში იგეგმება უნივერსიტეტის მთავარი კორპუსისა და დამხმარე ნაგებობების აშენება და ექსპლუატაციაში შესვლა. ამ პროექტის წარმატებით განხორციელება უმნიშვნელოვანესია უნივერსიტეტის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული პერსონალის **გადამზადების და კარიერული განვითარების** მექანიზმების განვითარება და სრულყოფა. პარალელურად, გაფართოვდება ადმინისტრაციის მიერ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის შეთავაზებული სერვისების დიაპაზონი. ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა როგორც უკვე არსებული სერვისების დახვეწას, ასევე ახალი მომსახურებების დანერგვასა და განვითარებას.

ბიბლიოთეკის წიგნადი და ელექტრონული ფონდების გაფართოება ჩვენი ერთერთი მთავარი პრიორიტეტია. უკვე მოხერხდა ბიბლიოთეკის ცენტრალიზება, განახლდა უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული პროგრამა. იგეგმება ელექტრონულ ბაზებზე წვდომის შემდგომი გაფართოება. შემდეგი 7 წლის განმავლობაში ვგეგმავთ ყველა ძირითად ელექტრონულ მონაცემთა ბაზაზე წვდომის უზრუნველყოფას.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ **სტუდენტური ცხოვრების განვითარებას**. GIPA ყოველთვის გამოიჩინებდა სტუდენტური აქტივობების ხელშეწყობით და კომფორტული სასწავლო გარემოთი. თითოეულ აკადემიურ

სკოლას გააჩნია სტუდენტური ფონდი, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენი სტუდენტებისთვის როგორც აკადემიურ, ასევე სოციალურ და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობისა და განხორციელებისთვის.

ჩვენი კურსდამთავრებულები და მათი წარმატება ჩვენს უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს. ბევრი მათგანი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და ასრულებს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ დღესაც ვინარჩუნებთ კურსდამთავრებულებს შორის დასაქმების მაღალ დონეს, რაც GIPA-ს მიმართ მათ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას განაპირობებს. აქედან გამომდინარე, შემდეგი 7 წლის განმავლობაში პრიორიტეტად ვისახავთ GIPA-ს კურსდამთავრებულთა ასოციაციის განახლებასა და განვითარებას. „GIPA-ლები“ დღესაც უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობენ უნივერსიტეტის ცხოვრებაში, ასოციაციის მეშვეობით კი მათი ჩართულობა კიდევ უფრო საგრძნობი გახდება.

გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის მისაღწევად განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, ჩვენი ამერიკელი პარტნიორების გამოცდილების გათვალისწინებით, სპეციალური ფონდის შექმნა, რომელიც საშუალებას მისცემს მხარდამჭერ ორგანიზაციებსა და ინდივიდებს, სრული გამჭვირვალობის დაცვით, ხელი შეეწყონ უნივერსიტეტის განვითარებას, ან მათთვის სასურველი მიმართულებით კვლევისა თუ სწავლების მხარდაჭერას.

სტრატეგიული მიზანი XII: ახალი კამპუსის მშენებლობა	
ამოცანები	ინდიკატორები
NXII.1 სამშენებლო პროექტის დამტკიცება	პროექტი და გეგმა
NXII.2 მთავარი ნაგებობის აშენება	დასრულებული სასწავლო კორპუსი
NXII.3 დამხმარე ნაგებობების აშენება	ტრანსპორტის გასაჩერებელი ადგილი, სპორტული სტადიონი
NXII.4 საერთო საცხოვრებლის პროექტის დამტკიცება	პროექტი და გეგმა
სტრატეგიული მიზანი XIII: ფინანსური წყაროების დივერსიფიკაცია	
ამოცანები	ინდიკატორები
NXIII.1 მშენებლობისთვის საჭირო კრედიტის მოძიება	დამტკიცებული საკრედიტო ხაზი
NXIII.2 დონორების მოძიება	შემოწირულობები
NXIII.3 მხარდამჭერი ფონდის შექმნა	მხარდამჭერი ფონდი (endowment fund)

სტრატეგიული მიზანი XIV: სასწავლო და მატერიალური რესურსის განახლება	
ამოცანები	ინდიკატორები
NXIV.1 ბიბლიოთეკის წიგნადი რესურსის ზრდა	კატალოგი
NXIV.2 ელექტრონულ ბიბლიოთეკებსა და ბაზებზე წვდომის ზრდა	ელექტრონული ბაზების რაოდენობა და დაფარვის არეალი
NXIV.3 მატერიალური რესურსის მუდმივი განახლება და გაზრდა	განახლებული მატერიალური ბაზა, ყოველწლიური ანგარიში
NXIV.4 არსებული შენობა-ნაგებობების სრულად ადაპტირება	ადაპტირებული შენობა-ნაგებობები
სტრატეგიული მიზანი XV: ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდა	
ამოცანები	ინდიკატორები
NXV.1 სასწავლო და დახელოვნების ტრენინგების რაოდენობა	GIPA-ს მიერ ჩატარებული ღონისძიებები
NXV.2 სასწავლო და პროფესიულ ტრენინგებზე დასწრების წახალისება	მონაწილე პერსონალის რაოდენობა
NXV.3 გაცვლით პროექტებში მონაწილეობა	პროექტებისა და მონაწილე პერსონალის ოდენობა
სტრატეგიული მიზანი XVI: სტუდენტური ცხოვრება და კურსდამთავრებულები	
ამოცანები	ინდიკატორები
NXVI.1 : სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის	ჩართული სტუდენტების რაოდენობა, სამსახურის დებულება და სხვა რელევანტური დოკუმენტები
NXVI.2 კურსდამთავრებულთა ასოციაციის განვითარება	ასოციაციის ხელშეწყობა
NXVI.3 GIPA-ს ყოველთვიური ელექტრონული ბიულეტენის გამოცემა და გავრცელება	GIPA-ში მიმდინარე პროექტებზე მთავარი ჩართული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდება
NXVI.4 სტუდენტური ფონდების გამოყენების გაზრდა	დაფინანსებული პროექტების რაოდენობა

სტრატეგიული მიზნები V: პროფესიული განათლება

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს უკვე მრავალი წელია მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, როგორც ხარისხიანი განათლების შეთავაზების კუთხით, ასევე დემოკრატიის ძირითადი პრინციპების აღიარებითა და ყოველდღიურ საქმიანობაში მათი ასახვით. GIPA ყოველთვის მზადაა ფეხი აუწყოს ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს და იმოქმედოს მოცემული პრიორიტეტებისა და მოთხოვნების შესაბამისად. ყველა უმაღლესი აკადემიური პროგრამის მიღმა GIPA ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამით აღიარებს, რომ პროფესიული განათლების განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და საგანმანათლებლო სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მოკლე დროში ზრდის პროფესიონალებს და აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროფესიული განათლების კუთხით GIPA-ს მიზნები სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების შემდეგ ძირითად მიზნებთან:

- შექმნას ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით
- ხელი შეუწყოს პიროვნების პროფესიულ განვითარებას
- მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები
- ხელი შეუწყოს პირის დასაქმებას, მათ შორის, საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა თუ თვითდასაქმებას
- დაამყაროს ურთიერთობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ამით ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი დარგის დამსაქმებლების მონაწილეობას, ასევე კურსდამთავრებულთა სწრაფ დასაქმებას.

სტრატეგიული მიზანი XVII: კონკურენტული პროფესიული განათლების პროგრამების განვითარება	
ამოცანები	ინდიკატორები
NXVII.1 შრომის ბაზარსა და საერთაშორისო სტანდარტებზე მორგებული თანამედროვე მოდულური პროგრამების შექმნა, დანერგვა და პოპულარიზაცია	შექმნილი ახალი პროგრამების რაოდენობა, დანერგილი ახალი პროგრამების რაოდენობა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზება სხვადასხვა საინფორმაციო და მარკეტინგული ღონისძიებებით, ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, ორგანიზებული ღია კარის დღეები
NXVII.2 სწავლების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა	სტუდენტთა მზარდი რაოდენობა, დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა. დაგეგმე, იმოქმედე, შემოწმე, განხორციელე (PDCA) ციკლის თანამდევრი დოკუმენტაცია
NXVII. 3 საერთაშორისო კავშირების დამყარება	ხელშეკრულებები/მემორანდუმები, გაცვლითი პროგრამები
NXVII. 4 პროგრამების განხორციელების შეფასების მოქნილი სისტემის შექმნა	განახლებადი ხარისხის მართვის მექანიზმი და შეფასების სისტემა
NXVII.5 მოდულებზე დაფუძნებული მოკლე და საშუალოვადიანი სერტიფიცირებული პროგრამების განხორციელება	მოდულებზე დაფუძნებული მოკლე და საშუალოვადიანი სერტიფიცირებული პროგრამების რაოდენობა თბილისსა და რეგიონებში, მომზადებულ სერტიფიცირებულ მსმენელთა რაოდენობა
NXVII. 6 ახალი პროფესიული განათლების პროგრამების შექმნასა და დანერგვაში დარგის სპეციალისტებისა და დამსაქმებლების ჩართულობა	პროფესიული განათლების პროგრამების შექმნასა და დანერგვაში ჩართული დარგის სპეციალისტებისა და დამსაქმებლების რაოდენობა

NXVII. 7 არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების პროცესის განახლება და სრულყოფა	არსებული პროფესიული საგანმანათლებლო მოდულების საჭიროებისამებრ განახლება, სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები, სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა
სტრატეგიული მიზანი XVIII. სტუდენტზე მორგებული გარემო - ინფრასტრუქტურული/მეტერიალურ-ტექნიკური რესურსის განვითარება	
ამოცანები	ინდიკატორები
NXVIII. 1 მატერიალურ/ტექნიკური აღჭურვილობის განახლება/სრულყოფა	განახლებული მატერიალურ/ტექნიკური აღჭურვილობა
NXVIII. 2 საგანმანათლებლო რესურსების მუდმივი განახლება (გენდერულად მიუკერძოებელი მასალებით უზრუნველყოფა)	შეძენილი და ნათარგმნი სასწავლო ლიტერატურის რაოდენობა, შეძენილი ვიდეო მასალების და სხვა თვალსაჩინოების რაოდენობა, შეძენილი პრაქტიკული ხელსაწყოების რაოდენობა
NXVIII. 3 შშმ და სსსმ პირებისთვის სასწავლო გარემოს ადაპტირება/სრულყოფა	ადაპტირებული და სრულყოფილი ინფრასტრუქტურა შშმ და სსსმ პირებისთვის
NXVIII. 4 სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების და ინოვაციების დანერგვა	დანერგილი თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციები დანერგილი ინოვაციური სწვლების მეთოდები
NXVIII. 5 სტუდენტური აქტივობების ორგანიზება და წარჩინებულ სტუდენტთა წახალისება	აქტივობების რაოდენობა
NXVIII. 6 სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობა	ღონისძიებების რაოდენობა

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი

უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი. მის შემადგენლობაში შედიან უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ეს ჯგუფი ვალდებულია, მონიტორინგი აწარმოოს გეგმების შესრულების ვადებსა და კონკრეტულ შედეგებზე. მონიტორინგის ჯგუფი ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციებისა და წარდგენილი ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე, უნივერსიტეტის მმართველი ორგანოები უფლებამოსილნი იქნებიან საჭიროებისამებრ შეიტანონ ცვლილებები, როგორც სამოქმედო, ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმაში.